ოქმი:**ო02.37222521**
თარიღი:**09/09/2022**

ოქმი № 20

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 6 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, დ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. შილაკაძე, ალ. ბურჭულაძე, თ. ნიკოლაშვილი, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. ურუშაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე
თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N28 განკარგულებაში ცვლოლებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, ვრცლად კი მასზე ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია ინფრასტრუქტურული განვითარების კვლავ პრიორეტულობა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ, ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, კომისიის წევრებმა მოიწონეს განკარგულების პროექტი და

მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი